ახალი გაზეთი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვირს გული„

30 მაისი - 12 ივნისი 2013 წელი №10 № 8044 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე კასპის მუნიციპალიტეტში გვ2.

„ვნ ლვიწყებს მოყვრობა“ გვ7.

გალა კონცერტი 26 მაისს გვ3.

შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში გვ2.

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გვ2.

პაციენტის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურება გვ5.

...ლა მვიწყ მეჯოლოგოთ ოხოცოლი გვ3.

გვლანდავენ ერთვლერთი გზა - ლამოყოლებლობა გვ4.

პროექტი ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში გვ3.



„რა ერა წახლეგ ერია ლაცეგ“ გვ6.

...ოხოცლოთ 2013 წელი ჯანთოველი წმინდანის, ეჯოთიმე ლოთიანლოცის (თოყაიშვილის) წლად გამოცხადდა

ეროვნული ქალაქი

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე კასპის მუნიციპალიტეტში

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე კასპის მუნიციპალიტეტს ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ ესტუმრა. მინისტრი შეხვდა მუნიციპალიტეტის გამგებელს ოლეგ იაძეს, ისაუბრეს 2013 - 2014 წლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებზე. მოინახულეს სოფელ იგოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, რომლის რეაბილიტაციაც უახლოეს მომავალში დასრულდება.

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯიას" წარმომადგენლებთან ერთად, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში მიმდინარე გამრიცხველიანების სამუშაოებიც მოინახულა.

კომპანია სოფლის ენერგოგამანაწილებელ ქსელს მოაწესრიგებს და წინარეხში მცხოვრებ 332 აბონენტს ინდივიდუალურ მრიცხველს დაუმონტაჟებს.

კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯია" მიმდინარე წელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ინდივიდუალურ მრიცხველს 50 ათასამდე აბონენტს დაუმონტაჟებს.

გამრიცხველიანების სამუშაოები აქტიურ ფაზაში პირველი მაისიდან შევიდა. შემდგომი ორი წლის განმავლობაში დაგეგმილია დამატებით 140 ათასი აბონენტის გამრიცხველიანება. ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ გულისხმობს აბონენტისათვის მხოლოდ მრიცხველის მონტაჟს, პროცესი მოიცავს ქსელის მასშტაბურ რეაბილიტაციას, რომლის ფარგლებშიც მთლიანად იცვლება ამორტიზებული კაბელები ახალი იზოლირებული სადენებით, ძველი ხის ბოძები — ახალი რკინაბეტონის ბოძებით. რემონტდება სატრანსფორმატორო პუნქტები და მნიშვნელოვნად უმჯობესდება ქსელის ინფრასტრუქტურა.

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ შეხვედრა მოუწყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 26 მაისს გვირგვინით შეამკეს კასპში, კოსტავას ქუჩაზე არსებული, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ბიუსტი.

შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში

წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა ანდრიამ, კულტურის სახლში, მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. საუბრის თემა, 17 მაისს მომხდარ ცნობილ მოვლენებს ეხებოდა. მოძღვარმა გვერდში დგომა აღუთქვა იქ მყოფ მამაოებს, საზოგადოებას განუმარტა აქციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, სინანული გამოთქვა აქციის დროს მომხდარ დაპირისპირებაზე.

შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, მამა ანდიამ ამომწურავი პასუხები გასცა დასმულ კითხვებს. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ მადლობა გადაუხადა მოძღვარს მობრძანებისა და მოსახლეობასთან შეხვედრისათვის.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გამოიწერეთ
"ახალი განთიადი"
და გახდით ჩვენი მკითხველი!

გალა კონცერტი 26 მაისს

სრულიად საქართველო ზეიმობდა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს...

სახალხო დღესასწაული კასპშიც აღინიშნა, ქალაქის კულტურის სახლში გაიმართა გალა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი



თვითმოქმედი კოლექტივები და ქორეოგრაფიული ანსამბლები, საესტრადო სიმღერების ინდივიდუალური შემსრულებლები.

საზეიმო კონცერტის დაწყებამდე დარბაზში შეკრებილი საზოგადოება დალოცა კასპის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა ანდრიამ. შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა კასპის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელმა მანანა ყაბანაშვილმა.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა და ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტი ვეტერანთა საკითხებში, კაპიტანი გოჩა კობაური და ყოფილი თავდაცვის სამინისტროს გაზეთის "თავდაცვის" რედაქტორი, გვარდიის კაპიტანი ამირან ტალახაძე.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის შემდეგ სცენა დაეთმო მოცეკვავეებსა და მომღერლებს. კონცერტში მონაწილეობდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანებასთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი " მოურავი ", ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე, ქორეოგრაფიული ანსამბლები "იმედი", ქორეოგრაფები ინგა თაბუკაშვილი და ლაშა ჭულუხიძე, "ქორეოლოგია", ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე, "ერთაწმინდა", ქორეოგრაფები ნინო პავლიაშვილი და ნუკრი საბიაშვილი, "რკონი," ქორეოგრაფი მაკა დათაშვილი, ანსამბლი "დიდგორი," ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, ქორეოგრაფი მარინა რუ-

სიშვილი, "მეტეხი," ქორეოგრაფი ცისანა დარჩიაშვილი, "სხვილო," ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი, "კავთა," ქორეოგრაფი სოფიკო ტოტიკაშვილი. შესრულდა საესტრადო და ფოლკლორული სიმღერები, რომელსაც ასრულებდნენ: კონკურსებში გამარჯვებული მედეა ბეჟიტაშვილი, საესტრადო სიმღერების ინდივიდუალური შემსრულებელი ხათუნა ხაჩიძე, ფოლკლორული სიმღერების შემსრულებელი თამარ ბაისონაშვილი, ანსამბლ "მოურავის" სოლისტი მიხეილ ქოსაშვილი.

საზეიმო კონცერტს უძღვებოდა კულტურის გაერთიანების სპეციალისტი ნუნუ სუსუნიაშვილი.

პროექტი ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში

კასპის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებთან, რეგიონული ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში შემუშავე-

ბული საპროექტო იდეის პრეზენტაცია მოეწყო, რომლის ფარგლებშიც სოფელ ლამისყანაში დასასვენებელი სკვერის მოწყობა იგეგმება. პროექტს რეგიონულ ახალგაზრდულ ფორუმში ჩართული მოსწავლეები განახორციელებენ. კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ინფრასტრუქტურის თემაზე შემუშავებული საპროექტო იდეა ჩამოაყალიბეს.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი ქალაქ გორში, 20 მაისს გაიმართა. ფორუმის მიზანი იყო ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით იმ პრობლემების გამოვლენა, რომლებიც აქტუალურია შიდა ქართლის მოსწავლეების, სკოლებისა თუ ადგილობრივი საზოგადოებისათვის, რომელთა მოგვარებაც სამოქალაქო კლუბების, სამთავრობო, არასამთავრობო თუ ბიზნეს სექტორის ჩართულობითაა შესაძლებელი.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

იუნესკომ 2013 წელი ქართველი წმინდანის, ექვთიმე ღვთისკაცის /თაყაიშვილის/ წლად გამოაცხადა

აღნიშნულთან დაკავშირებით კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა დიდი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურის, განათლების მუშაკები, საჯარო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტი-ახალგაზრდობა, მოწვეული სტუმრები, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენლები.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი.

მოხსენებით "წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის /თაყაიშვილი/ ცხოვრება და მოღვაწეობა"- დამსწრეთა წინაშე გამოვიდა მუზეუმის განყოფილების გამგე ნანა მერებაშვილი.

"ექვთიმე თაყაიშვილი - მრავალმხრივი მეცნიერი", ასეთი იყო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის ნანა მიდელაშვილის საუბრის თემა.

... "და მაინც მეჭურჭლეთუხუცესი"- საინტერესო მოგონებით გამოვიდა მუზეუმის განყოფილების გამგე ლიანა ბალხამიშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვით მიმართა შეკრებილებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ოლეგ იაძემ.

შემდეგ შეკრებილთა წინაშე წარსდგა კასპის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე, რომელმაც მხატვრულად წაიკითხა ქართველი პოეტის ლექსი. სიტყვით გამოვიდა კასპის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელი მანანა ყაბანაშვილი.

მეცნიერის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

... და მაინც მეჭურჭლეთუხუცესი

უკიდეგანოა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ერის წინაშე. უამრავი სამეცნიერო დისციპლინის მესაძირკვლე და მამულიშვილური საქმის მოთავეა, რომელთა მხოლოდ ჩამონათვალიც ძალიან დიდია. რამდენი ფურცელი დააკლდებოდა ერის ისტორიას, რამდენი რამ დარჩებოდა სათუოდ, ან მთლიანად ამოუცნობი, რომ არა მის მიერ გამოვლენილი და დაღუპვას გადარჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები თუ სხვა სახის წყაროები ერის ისტორიისა.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაღვაწის ნებისმიერი სფერო ცალ-ცალკე საკმარისი იქნებოდა ერთი პიროვნებისათვის, რომ ერის ისტორიაში მამულიშვილთა შორის დარჩენილიყო. მაგრამ, რაც მან ქართულ სიძველეთა გადარჩენისათვის გააკეთა უპირველესი ადგილი უკავია, ამიტომაა, რომ დღეს მისი პიროვნების ხსენებისას, გვარ-სახელის მაგივრ ზეწოდება - მეჭურჭლეთუხუცესი უფრო ხშირად გვხვდება.

1921 წლის 11 მარტს საქართველოს განძთან ერთად სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობით იძულებით დატოვა სამშობლო, რაც სიცოცხლის თავ

* გაგრძელება მე-6 გვ.

გადარჩენის ერთადერთი გზა – დამოუკიდებლობა



წინასიტყვაობის მაგიერ

მას შემდეგ, რაც გორის მაზრას გამოეყო ჩვენი რაიონი, ანუ 1929 წლიდან, კასპის არქივი დამოუკიდებლად არსებობს. ჩვენს არქივში ინახება 57700 შესანახი ერთეული. აქ შედის როგორც მუდმივი, ასევე პირადი შემადგენლობის დოკუმენტები. საარქივო მუშაობა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია და ყოველდღიურობაში შეიძლება ვერ აღიქვა რამდენად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა საქმე, რომელსაც ემსახურები. თუმც, არის დღეები როცა ზედმიწევნით თვალნათელი ხდება არქივში შენახული დოკუმენტების მნიშვნელობა.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

დამფუძნებელი კრების სხდომა. ტფილისი, 1918 წ. ბ. კოზაკის ფოტო.

საარქივო მასალებიდან

რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი 1800 წელს გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხეს იმპერატორის განაჩენი. საქართველო რუსი მთავარმართებლის ხელში გადავიდა... ისტორიული სამართლიანობის აღდგენის წილ უნდა ვაღიაროთ, რომ იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს.

მხოლოდ 1918 წელს მენშევიკების მოწვეულ სეიმზე დაფიქსირდა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა “უფროსმა ძმამ” თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს ახალი რეალობა შესთავაზა, საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა. ამ უკანასკნელთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახლადშექმნილი სეიმის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. არაა გასაკვირი, რომ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. თუ საქართველო და სომხეთი ეწინააღმდეგებოდნენ მიწა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორწმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა.

საქართველო არ ცნობდა ბერსტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეეგუებოდა ვითარებას.

მართლაც ურთულეს რეალობაში, როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა — დამოუკიდებლობა.

1918 წლის 26 მაისს თბილისში

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა: “ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა”.

1918 წლის 26 მაისს მიღებულ “საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში” ნათქვამი იყო: “მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო, საქართველო მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია”. დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თავად იკისრეს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:



1).ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2).დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3).საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი და ნეიტრალური სახელმწიფოა.

4).საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი — მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5).საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6).საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7).დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1992 წლის 9 აპრილს, შეძლო.

რამდენმა ღირსეულმა ქართველმა მამულიშვილმა ჩაიტანა საფლავში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების აუხდენელი ოცნება, რამდენი შრომა, ძალისხმევა და თავდადებაა 26 მაისის მატიანეში. ასეთ წუთებში ყველაზე თვალნათლად ჩანს იმ სამსახურის მნიშვნელობა, რომელიც ინახავს და იცავს ქვეყნის ისტორიას. დაარქივებული დოკუმენტები უტყუარი მასალაა ჩვენი საერთო ისტორიის. რომ არა ეროვნული არქივი, რამდენი კითხვა დარჩებოდა უპასუხოდ.

მარინა გოგებაშვილი,
საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს კასპის ადგილობრივი არქივის დირექტორი.

პაციენტის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურება

იამზე ქამხაძის კლინიკა 2001 წელს დაფუძნდა. განვლილი 12 წელი საშუალებას იძლევა, რომ ვილაპარაკოთ გარკვეულ გამოცდილებასა და მიღწევებზე. ჩვენს რეგიონში თანამედროვე სამედიცინო გამოკვლევის და დაავადების მკურნალობის მრავალი ინოვაციის დანერგვა პირველად სწორედ ამ კლინიკაში მოხდა.

საქართველოს, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ევროპისა და აშშ-ს მრავალ წამყვან უნივერსიტეტთან და კლინიკასთან ურთიერთობა საშუალებას აძლევს ია ქამხაძის კლინიკას მუდმივად ეცნობოდეს სამედიცინო სიახლეებს და განაახლოს ტექნიკური აღჭურვილობა.

იამზე ქამხაძე: - ჩვენი მთავარი პრიორიტეტი არის პაციენტი და მის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურების უმაღლესი სტანდარტები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიმაჩნია სამედიცინო აპარატურის მუდმივი განახლება და გაფართოება უახლესი მიღწევების დონეზე და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციისა და ინფორმირებულობის დონის უწყვეტი ამაღლება.

ჩვენმა კლინიკამ ორი კვირაა, რაც აშშ-დან მიიღო უახლესი მოდელი ულტრაბგერითი (ექოლოგიური) . . . . . . PHILIPS-ის აპარატურა, რომელიც უახლოეს დღეებში შევა ექსპლუატაციაში. მე გასულ წელს ვიმყოფებოდი აშშ-ში კლივლენდის კლინიკაში, რომელიც მსოფლიოში №1 რეიტინგული კლინიკაა და მაშინ საშუალება მქონდა გავცნობოდი ამ აპარატურის სპეციფიკას. PHILIPS-ის ტექნიკა მსოფლიოშია აღიარებული და ის ჩვენს კლინიკაში არსებულ SIEMENS-ის, Olympus-ის, General Electric-ის და სხვა მოწინავე ბრენდების აპარატურასთან ერთად დიაგნოსტიკის შესანიშნავი საშუალებაა.

სულ რამდენიმე დღეა დავბრუნდით სტამბულიდან, სადაც ვიმყოფებოდით თურქეთის საელჩოს მხარდაჭერით საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში და ვესწრებოდით სამედიცინო და ლაბორატორიული ტექნოლოგიების მსოფლიო გამოფენას. ბევრ საინტერესო სიახლეს გავეცანით, მრავალ მწარმოებელს შევხვდით და მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ჩვენს კოლეგებს გავუზიარეთ მოსაზრება ამ დარგში განვითარებული სიახლეების შესახებ, შედგა მოლაპარაკება აშშ-ს ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო დიაგნოსტიკური აპარატურის მწარმოებელ ფირმასთან და ვიმედოვნებთ, რომ მოკლე ხანში ჩვენი დიაგნოსტიკური შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზრდება მათგან მოწოდებული აპარატურის წყალობით.

როგორც ზემოთ ვახსენე, ერთ-ერთი მთავარი ჩვენი პრიორიტეტი არის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება. სამედიცინო პერსონალს როცა ვახსენებ, ეს არ ეხება მხოლოდ ექიმებს, აქ მნიშვნელოვანია ექთნების მომზადების დონეც.

ევროპიდან, ამერიკიდან, უკრაინიდან მუდმივად შემომაქვს უახლესი სამედიცინო ლიტერატურა, სასწავლო-ვიდეო ჩანაწერები, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტერნეტით მოძიებულ მასალაზე. ექიმები ფლობენ უცხო ენებს, რაც მათ საშუალებას აძლევს მაქსიმალურად იყვნენ სიახლეების საქმის კურსში. მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოში ჩატარებული კონგრესები და ტრენინგები. ამ მოკლე ხანებში ჩვენი კლინიკის ექიმი ნიკოლოზ გოჭოშვილი იმყოფებოდა თანამედროვე კლინიკური მედიცინის მიღწევებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო კონფერენციაზე." ხოლო ექიმმა ნინო ნუგზარიშვილმა წარმატებით დაამთავრა ევროპის ონკოლოგთა ასოციაციის კურსი მამოგრაფიულ სკრინინგში. იგივე ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კურსი მამოგრაფიაში გაიარა რენტგენოლაბორანტმა მაკა საგიაშვილმა. მას, როგორც ჩვენი კლინიკის ექთანს ხათუნა წიკლაურს, რომელმაც დაამთავრა ამერიკული პროგრამა, აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც ღირსეულად მოიპოვა საკმაოდ რთული სწავლების დამთავრებისა და ძლიერ მომთხოვნი გამოცდების ჩაბარების შემდგომ.

მადლიერებით უნდა აღვნიშნო ევროპული და ამერიკული სასწავლო პროგრამების მესვეურთა თანადგომა, რომლებთანაც დიდი ხნის ურთიერთობა გვაკავშირებს და რომლებიც საშუალებას აძლევენ ჩვენი კლინიკის სამედიცინო პერსონალს სწავლების კურსის გავლაში.

მე, როგორც მოგეხსენებათ ვარ ლიცენზირებული კარდიოლოგი, რადიოლოგი, შინაგანი დაავადებების სპეციალისტი და მუდმივად ამ დარგებში მიხდება კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც საქართველოში, ასევე აშშ-სა და ევროპაში. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მე ვცდილობ კლინიკა დავაკომპლექტო ადგილობრივი კადრით. თვითონ პროფესორი გია აზმაიფარაშვილიც, რომელიც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის პროფესორია და ჩვენი მოწვევით ატარებს ჩვენს კლინიკაში გასტროსკოპიულ გამოკვლევას, წარმოშობით ჩვენი რაიონიდანაა. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ გარკვეულ არეალსა თუ რეგიონს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კლიმატური, სოციო-ეკონომიკური თუ კულტურული მახასიათებლები, რომლებიც თავის ასახვას პოვებს ადამიანების დაავადებების ჩამოყალიბების, მიმდინარეობის და მკურნალობის თავისებურებებზე. აქედან გამომდინარე, მე მივიჩნევ, რომ ადგილობრივი კადრი, თუ მას სათანადო ცოდნა და უნარები გააჩნია. ყველაზე უკეთესად გაართმევს თავს ავადმყოფის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

- რა ურთიერთობა გაქვთ სადაზღვევო კომპანიებთან?

- ჩვენი კლინიკა აქტიურად თანამშრომლობს ორ სადაზღვევო კომპანიასთან. ამდენად, დაზღვეულებს შეუძლიათ ოჯახის ექიმის მომართვის

საფუძველზე მიიღონ შესაბამისი მომსახურება.

ჩვენთვის მთავარია მოსახლეობამ, თუკი მას ამის სურვილი ექნება, გამოიყენოს ის რესურსები, რაც ჩვენს კლინიკას გააჩნია, რათა მათ მიიღონ საუკეთესო სამედიცინო მომსახურება დედაქალაქთან შედარებით მიზერული ფასით და როცა სახელმწიფო პროგრამა ამის საშუალებას იძლევა - უფასოდაც, შესაბამისად, თავი აარიდონ ზედმეტი დროისა და ფულად დანახარჯებს.

ნებისმიერი ორგანოს ექოლოგიური კვლევა, რაც საერთოდ ტარდება პრაქტიკაში, რენტგენოდიაგნოსტიკა, მამოგრაფია, ელექტროკარდიოგრაფია თუ ენდოსკოპიური კვლევები და ა.შ. მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ მსოფლიო სტანდარტების დონეზე ტარდება. ზუსტად ამას ემსახურება ჩემი ხშირი ვიზიტები, უზარმაზარი რესურსი, ენერგია, რომელიც იხარჯება, რომ ჩვენ ვიყოთ თანამედროვე მიღწევების დონეზე.

- ქალბატონო ია, დაავადებების სახელმწიფო სკრინინგ პროგრამა გრძელდება?

- ჩვენთან კვლავ გრძელდება ძუძუსა და კოლორექტალური (მსხვილი ნაწლავის) დაავადებების სახელმწიფო სკრინინგ პროგრამა, სადაც ქალბატონებს 40-დან 70 წლამდე (ძუძუს დაავადებებისა) და ქალებსა და მამაკაცებს 50-დან 70 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (კოლორექტალური კომპონენტით) შეუძლიათ უფასო გამოკვლევების ჩატარება. უახლოეს ხანებში ვგეგმავთ ამ მომსახურების უფრო გაფართოებას სხვა გამოკვლევების ჩართვით.

ამჟამად სამედიცინო სფერო იმყოფება მორიგი რეფორმის რეჟიმში და იმედია, რომ ეს რეფორმა დადებით შედეგებს მოიტანს, როგორც პაციენტებისათვის, ასევე სამედიცინო დაწესებულებებისათვის. მე, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად მიხდება სხვადასხვა ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტი. ეს ვიზიტი საშუალებას მაძლევს, რომ კლინიკური გამოცდილების გარდა, დავაკვირდე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სხვადასხვა მოდელებს, შევხვდე სამედიცინო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მესვეურებს, ვისაუბრო ჩემს კოლეგებს და გავიგო პაციენტთა აზრი სამედიცინო სისტემის შესახებ.

საინტერესოა, ერთ არეალში განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებებს შორის ურთიერთობის ფორმები, რომლებიც საშუალებას იძლევა, მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს პაციენტის კეთილდღეობაზე. მაგალითად, თითოეულ კლინიკას გააჩნია თავისი ნიშა და განვითარების პრიორიტეტი - რა სფეროშიც ის განსაკუთრებით ძლიერია.

დღევანდელი ტექნოლოგიების განვითარების ფონზე ხომ წარმოუდგენელია ყველა სფერო ერთნაირად კარგად იყოს დაკომპლექტებული, როგორც სამედიცინო აპარატურით, ასევე კადრებით. შრომის ასეთი დანაწილება კარგი კოოპერირების საშუალებას იძლევა, რაც პოზიტიურად აისახება ჯანმრთელობის სერვისის მიმღებზე და მის მიმწოდებელზეც.

მეორე მაგალითი - მეგაკლინიკები მათ ტერიტორიაზე, შიგნით ახდენენ მცირე დამოუკიდებელი კერძო კლინიკების განლაგებას, რათა გააუმჯობესონ პაციენტის მომსახურების ხარისხი.

ის ფაქტი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ რეგიონში, სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი პროფესიული საქმიანობა პროვინციალიზმით უნდა იყოს აღქმული. ეს ეხება ნებისმიერ სფეროს. მაგალითად, იტალიაში ვიმყოფებოდი დაახლოებით კასპის სიდიდის ქალაქში, სადაც ძალიან წარმატებულად ტარდება გულის გადანერგვა და იტალიის სხვადასხვა მხარიდან იქ ჩადიან პაციენტები აღნიშნული ოპერაციის ჩასატარებლად.

- მადლობა საინტერესო საუბრისათვის. იმედია, მომავალ სიახლეებს პირველად ჩვენი გაზეთის საშუალებით შეიტყობს მოსახლეობა.

- პირობას გაძლევთ.

საუბარი ჩაიწერა
ნ. ხატიძემ.

“რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს”

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით კასპის სახელოვნებო სკოლის დარბაზში ჩატარდა შეხვედრა “რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს”... ღონისძიება მოამზადა კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა.

სცენას ამშვენებდა იაკობ გოგებაშვილის დედა ენის მაკეტი, რომელიც დაამზადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კულტორგანიზატორმა მარინე ნაგელიშვილმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: სალომე სიხარულიძე, სალომე ჯაბაური, ქეთი წიკლაური, ვოვა გერმისაშვილი, გვანცა გერმისაშვილი, მარიამ აბულაძე, თამარ მარქარაშვილი, მარიამ ბეჟიტაშვილი, ხატია მიქელაძე და ლიკა ოდიშვილი.

დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებით მოიხიბლა მოსწავლეთა სახლის უმცროსკლასელთა კლუბის /ხელმძღვანელი ნინო კობაური / წევრების გამოსვლით. პატარა დეკლამატორებმა საინტერესოდ წარმოადგინეს თინათინ მღვდლიაშვილის “ანბანთქება.” დედა ენას “ქებას ასხამდნენ” ქრისტინე ბერიანიძე, ანი ბიტიაშვილი, მედეა ბერიანიძე, ლიკა ბიტიაშვილი, რატი სიდამონიძე, ლუკა მიჩიტაშვილი, ლუკა მგელაძე, ნიკა ქოქაშვილი, სალომე ხორბალაძე, ანი ხოკრიშვილი, მარიამ ოდიშვილი, ნინო ხარაიშვილი, გივი ჩუხრუკიძე, ქეთი მამულაშვილი, თამარ გაბარაშვილი, სოსო ბერიაშვილი, ნიკა მეგრელიშვილი, ირინა აბულაძე, თინათინ ბერიაშვილი.

- ღონისძიებას წინ უსწრებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა, - განაცხადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა, - გვინდოდა გაგვეგო, დაცულია თუ არა მშობლიური ენა, განიცდის თუ არა იგი უცხო სიტყვათა “შემოსევას” და კიდევ ბევრი სხვა საკითხი, რომელიც დედა ენის სიწმინდის დაცვას უკავშირდება. გამოკითხულთა უმრავლესობამ ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა, რომ მშობლიური ენის დასაცავად ზრუნვა არასოდეს უნდა შენელდეს, მას მუდმივი დაცვა და გაფრთხილება სჭირდება.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ხუთი ბრინჯაოს მედალი

მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს ბოლნისში ჩატარებულ სამბოს საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ კასპის ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის გუნდის წარმომადგენლები.

— ბოლნისიდან ჩვენი სამბისტები დიდი ნადავლით დაბრუნდნენ, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, — საქმე ის გახლავთ, რომ ეს წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან კასპის ჭიდაობის სკოლის გუნდი დიდი ხანია ინარჩუნებს დამაჯერებელ წარმატებებს. ერთი სიტყვით, ბოლნისიდან წამოვიღეთ სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ხუთიც ბრინჯაოს მედალი.

ამგვარად, კასპელი სამბისტები პაატა მალაციძე, გიორგი გაბინაშვილი, დავით გეჯაძე, ოთარ გაბინაშვილი, ვალერი შაქარაშვილი, არსენ აბულაძე, ზაზა ჯანანაშვილი და სპარტაკ გულიაშვილი ახალი ტურნირისათვის ემზადებიან.

მაისის დამდეგს ქალაქ გორში ჩატარდა რეგიონის პირველობა ძიუდოში. წარმატებით იასპარეზეს კასპის ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის /დირექტორი ალე ხუციშვილი / სპორტსმენებმა.

საპრიზო ადგილები გადანაწილდა შემდეგნაირად, დასახელდა სამი პირველი ადგილის მფლობელი, ესენი არიან: ვალერი იაშვილი, 73 კგ. წონითი კატეგორია, გიორგი გუგულაშვილი 66 კგ. წონითი კატეგორია, დიმიტრი გუგულაშვილი — მძიმე წონა. ხოლო მესამე საპრიზო ადგილი 90 კგ. წონით კატეგორიაში წილად ხვდა ხოვლელ შალვა ჯანანაშვილს.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

... და მაინც მეჯერჯლეთეხეცესი

* დასასრული

განწირვის ტოლფასი იყო. ამის შესახებ თვით ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: “მალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან... ამ საქმეს ვემსახურებოდი სრული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და, მიუხედავად მრავალი გასაჭირისა და იმოდენა ხნის ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმილისა შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად შევასრულე ჩემი მოვალეობა მშობელი ერის წინაშე.” ეს სიტყვები ე. თაყაიშვილს 82 წლის ასაკში სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქვს ნათქვამი, მანამდე კი უცხოეთში ეროვნული საქმისათვის თავდაუზოგავი მოღვაწეობა, უკიდურესი გაჭირვება და მრავალი განსაცდელის მიუხედავად, 24 წლის განმავლობაში, სადაც კი ხმა მიუწვდებოდა, ხვეწნა-მუდარით დაწერილი ბარათები და თხოვნა. პირადულზე არ ჩივის და შემწეობას არ თხოულობს, მისი საფიქრალი განძის გადარჩენა და სამშობლოში დაბრუნებაა მხოლოდ.

დიდი პიროვნებების ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამბებს, რაც ჩვენ დროს ხდება, რაც არ უნდა უმნიშვნელოდ გვეჩვენოს, შეიძლება სამომავლოდ მეტი მნიშვნელობა მიეცეს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ. როგორც ცნობილია, შალვა ამირანაშვილის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი განძეულის სამშობლოში დაბრუნებასთან. მისი მონაწილეობით ე. თაყაიშვილთან ერთად საფრანგეთში 1921 წელს გახიზნული ეროვნული განძი 1945 წლის 11 აპრილს იქნა სამშობლოში დაბრუნებული. მაშინ, როცა ბატონი შალვა ლექციებს გვიკითხავდა, ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ზემოთ აღნიშნულის თაობაზე წიგნის გამოცემას აპირებდა. ჩვენ რამდენჯერმე ვთხოვეთ ამის თაობაზე საუბარი. ბატონი შალვა დაუზარებლად გვესაუბრებოდა ლექციების შემდეგ და ლექციებზეც. მაშინ ბევრი რამ ჯერ კიდევ ტაბუირებული იყო, ის გზადაგზა მიგვანიშნებდა ნიუანსებზე, რომლებიც წიგნში არ უნდა შესულიყო. დაწვრილებით გადმოგვცემდა დიდ ქართველთან შეხვედრებისა და ურთიერთობების ეპიზოდებს. ზოგჯერ თვალებზე ცრემლიც მორევია, შეჩერებულა და აშკარა იყო, საუბრის გაგრძელება რომ უჭირდა. ბატონი შალვა ამირანაშვილი იხსენებდა: “ბატონ ექვთიმეს სამშობლოში დაბრუნებაზე რომ ჩამოუგდე სიტყვა, ტანსაცმელზე მიმანიშნა და მიპასუხა:- “ხომ გაგიგია: “წარსდგა მშიერი და ვერა შიშველიო”. გამომგზავრების წინ, განძის ჩამოტანის მონაწილეებმა უკანასკნელი კაპიკებით შეგროვილი თანხით შეუძინეს ტანსაცმელი. იოლი არც სამშობლოში დაბრუნება იყო, მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, შორი იყო გზა სამშობლოსაკენ. ერთი კვირა დასჭირდა პარიზიდან თბილისამდე ჩამოსვლას მარშრუტით: პარიზი-რომი-ბიზერტა-ქაირო-თბილისი. როცა თვითმფრინავი თბილისში დაეშვა, ვიდრე მშობლიურ მიწას ფეხს დაადგამდა თვითმფრინავის ტრაპზე ლოცვად წარმოუთქვამს ზეცაში თვალაპყრობილს:

“ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ
მკურნალად შემეყარეო”.

სასიკვდილოდ განწირულს, სარეცელზე მწოლიარე წმინდა ერისკაცს საყვარელი მგოსნის სიტყვები კვლავ გაუმეორებია. 1964 წლის აგვისტოში გაზეთ “კომუნისტში” დაიბეჭდა გიორგი ხორგუაშვილის სტატია “ყოჩაღ, მამულიშვილო,” რომელიც ეხება მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში გერმანელების წინააღმდეგ პარტიზანული მოძრაობის მონაწილე კასპელი ივანე საჩალელის საბრძოლო თავგადასავალს.

სტატიას ი. საჩალელის მრავალი თანამებრძოლი და მოძრაობის მონაწილე გამოეხმაურა, რომელთა შორის საგარეჯოელი ქალბატონი მანანა მჭედლიშვილიც იყო. ი. საჩალელმა სტუმრად ჩამოსული თანამებრძოლი მუზეუმში მოიყვანა და გაგვაცნო. ომგადახდილმა გაიხსენა ტყვეობის მძიმე წლები, გერმანიის ტყვეთა ბანაკები და ბოლოს გერმანიიდან საფრანგეთში ჩასვლა. “1943 წლის შემოდგომაზე პარიზში, ტყვეთა მიმღებ პუნქტში დიდხანს გაგრძელდა დოკუმენტაციების გაფორმება, ბოლოს მანანა მჭედლიშვილი პარიზის გარეუბანში ლევილში გაამწესეს და ემიგრაციაში მყოფ ცნობილ ქართველ მეცნიერს მდივნად დაუნიშნეს”- ვკითხულობთ საგარეჯოს რაიონულ გაზეთში. მ. მჭედლიშვილმა დიდ მამულიშვილთან გატარებული პერიოდის ეპიზოდები გაიხსენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა ი. მეგრელიძის ჩანაწერები, რომელსაც ე. თაყაიშვილთან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ჰქონდა ურთიერთობა და მისი ცხოვრების ბოლო პერიოდის ეპიზოდები დღიურების სახით შემოინახა. მიუხედავად უკიდურესი უძლურებისა, ექიმების და ახლობლების რჩევისა, არ წყვეტდა მუშაობას მაშინაც კი, როცა კალმის ხმარებაც აღარ შეეძლო და მოითხოვდა ნააზრევი კარნახით დაეწერინებინა. ი. მეგრელიძის 1951 წლის 15 დეკემბრის ჩანაწერებში ვკითხულობთ: “ექვთიმემ თქვა: საფრანგეთში ომის მძიმე დროს მივლიდა მანანა მჭედლიშვილი, საგარეჯოდან იყო”- ო. სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნებით სიცოცხლის დიდი ნაწილი მოწამეობრივად გაატარა. მის მიერ გავლილი ნარეკლიანი ცხოვრების გზა ნათელი კვალია მშობელი ერისთვის, რომელიც თანდათან მეტ სინათლეს იძენს, უკვდავების შარავანდედით ბრწყინდება, ამის დადასტურებაა ის, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ 2002 წლის 17 ოქტომბერს შერაცხული წმინდანად “ექვთიმე ღვთისკაცი” ამ სახელით დამკვიდრდა ქართველ წმინდანთა პანთეონში. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრია დაწერილი, მაგრამ დღეისათვის მრავლისაგან მცირედი აღიწერა მხოლოდ.

ლ.ბალხამიშვილი,
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე.

მხოლოდ მუზეუმის ბინადარი

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ეთნოგრაფიული ექსპონატების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა მუზეუმის საერთაშორისო დღეს. მართალია, გამოფენა არ იყო მასშტაბური, სიდიდით გამორჩეული, მაგრამ წარმოდგენილი ექსპონატები თავისი შინაარსით, ისტორიით, შემეცნებითი ხასიათით განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ყურადღებას იმსახურებენ, თანაც საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთი ექსპონატი წელს პირველად გამოფინეს.

– მუზეუმის ფონდში დაცული ნიმუშები, რომლებიც გამოფენაზე გამოვიტანეთ იმითაც არის საყურადღებო, რომ ახლა ისინი მხოლოდ და მხოლოდ მუზეუმის ბინადრები არიან, – აცხადებს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე ლიანა ბალხამიშვილი, – მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ტყავის ქალამნები ანუ მამაკაცის ფეხსაცმელი ანდა ქართველი მანდილოსნის თავსაბურავი, ეგრეთ წოდებული “ ჩიხტი კოპი”, ხევსურული სამოსი და კიდევ ბევრი სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთი, რომელიც დიდი ხანია გამოეთხოვა ცხოვრებისეულ ყოფას და სამუდამოდ დაივანა მუზეუმში.

გამოფენა თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. სასურველია, ეს საუკუნისდროინდელი სამუზეუმო ნივთები ნახონ მოსწავლეებმა და ახალგაზრდებმა და არა მხოლოდ მათ. ამ უნიკალური სიძველეების გაცნობა ყველას დაეხმარება ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის შეცნობაში.

გამოფენის ორგანიზატორები კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სამხატვრო გალერეა შემდგომი გამოფენისათვის ემზადებიან.

მუზეუმების გაერთიანება.

“არ დავიწყება მოყვრისა”

9 მაისი, ისტორიული თარიღი, დღე, რომელმაც მსოფლიოს ამცნო ფაშიზმის დამარცხება. დიახ, 68 წელი გავიდა ყველაზე სასტიკი და მრისხანე ომის დამთავრებიდან, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საქართველოდან, მათ შორის ჩვენი რაიონიდანაც ომში წასულთა უმრავლესობა შინ აღარ დაბრუნებულა. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /დირექტორი ლელა პეტრიაშვილი/, ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ მოსწავლეებმა ჩაატარეს ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის ოთხივე საჯარო სკოლის და საერო გიმნაზიის მოსწავლეები. ქალაქის ცენტრში, დიდების მემორიალთან შეიკრიბნენ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მოსწავლეები, რომლებმაც ყვავილების გვირგვინით შეამკეს ობელისკი, შემდეგ კი საბრძოლო სიმღერების ფონზე წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია “არ დავიწყება მოყვრისა”.

ომის თემაზე შექმნილი ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა ვოვა გერმისაშვილმა, სალომე სიხარულიძემ, გვანცა გერმისაშვილმა, სალომე ჯაბაურმა, ჯორჯი ჯანვერდაშვილმა, მარი აბულაძემ, ანი ჯალალმა, ლიკა ოდიშვილმა, თაკო ბერიძემ და სხვებმა. ომში დაღუპული მეომრების ხსოვნისათვის ბავშვებმა სანთლები დაანთეს, ისმოდა გმირთა სადიდებელი სიმღერები.

მოსწავლეთა ძალებით გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები დალი დავითაშვილი და ჯამბოლატ ქამხაძე, გამგეობის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ნუნუ ყიფიანი, კასპის საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენელი ლელა გიგოლაშვილი და სხვები.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

შემოქმედებითი საღამო

ქვემო ჭალის კულტურის სახლში /დირექტორი ირმა ხეტეშვილი/ ჩატარდა შემოქმედებითი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები.

კონცერტში მონაწილეობდა სოფლის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი “სხვილო” /ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი/, ფოლკლორული სიმღერების შემსწავლელი ჯგუფი /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ და ინდივიდუალური სიმღერების შემსწავლელი გუნდი /აკომპანიატორი თამარ საჩალელი/.

საკონცერტო პროგრამა, რომელიც შედგენილი იყო, როგორც დაწყებითი, ასევე უფროსკლასელთა მონაწილეობით ხალისიანი და საინტერესო აღმოჩნდა. შესრულდა სიმღერები, წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სოფლის რწმუნებული იოსებ შუღლიაშვილი, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა მოსწავლე-ახალგაზრდობას აქტიურობისა და საინტერესო ღონისძიების ორგანიზებისათვის.

შეხვედრის დასასრულს კულტურის სახლის დირექტორმა ირმა ხეტეშვილმა კონცერტის აქტიურ მონაწილეებსა და ორგანიზატორებს დიპლომები გადასცა.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

გამოხმაურება

სულ ახლახან /26 აპრილს/ კასპში, კულტურის სახლის წინ დაიდგა ქართული ფოლკლორული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბრწყინვალე მუსიკოსისა და პედაგოგის, ჩვენი თანამემამულის ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი. ამ მნიშვნელოვან მოვლენას მიეძღვნა გაზეთ “ახალი განთიადის” სპეციალური ნომერი, რომელიც შესრულების მაღალმხატვრულობით, წერილებისა და ფოტო-სურათების მრავალფეროვნებით, შინაარსითა და მოძიებული საინტერესო ფაქტებით გვხიბლავს, გვიზიდავს და არაერთ საინტერესო ეპიზოდს გვამცნობს ამ უბადლო მუსიკოსის ცხოვრებიდან, მუსიკოსისა, რომელმაც “სალამურზე დაკვრის ტექნიკა ვირტუოზულ დონემდე აიყვანა”, /ენათმეცნიერ ლევან ღვინჯილიას დავესესხე ნ. ე. /.

წერილი “რა ჯადოსნური ძალა გაქვს ლერწმის პატარა ღეროსა”, რომელიც გაზეთის ერთ გვერდზე მეტს მოიცავს, წელთა დინებას მისდევს და თვალწინ გვიშლის ომარ კელაპტრიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

სხვათა შორის 1971 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ტელევიზიამ ეკრანი დაუთმო მუსიკალურ გადაცემას “ამღერებული სალამური,” რომლის ავტორი გახლდით მე, თქვენი მონამორჩილი, ხოლო რეჟისორი შესანიშნავი პიროვნება და ხელოვანი ვანო გელაშვილი. ერთი სიტყვით, იმ საღამოს ეთერში გავიდა ნახევარსაათიანი მუსიკალური ფილმი, რომელიც შეძლებისდაგვარად ასახავდა იმ დროისათვის არსებულ ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდს და ფაქტს ომარ კელაპტრიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებიდან.

ეს სატელევიზიო /საავტორო/ გადაცემა “ამღერებული სალამური,” კელაპტრიშვილების ოჯახს ფირზე აქვს ჩაწერილი და კარგი იქნება, თუ ინტერნეტის მომხმარებელიც იხილავს და ნებისმიერ დროს მოისმენს ომარ კელაპტრიშვილის უბერებელ ჰანგებს.

ნორა ედიშერაშვილი.

კეხურა

ჩვენო საყვარელო პატარებო!

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) საუბარი.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ საყვარელ ზღაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში “დამალულ” საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი ”ახალი განთიადი”!

მაშ ასე, ყურადღებით:

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში “კეხურა”.

გილოცავთ!





“[illegible]”
გილოცავთ
ბავშვთა დღეს!

გილოცავთ!

ჩემს პირველ შვილიშვილს ანასტასია სანდროს ასულ ნატროშვილს ვულოცავ პირველ დაბადების დღეს.

ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ ბედნიერებას, წარმატებულ მომავალს საყვარელ მშობლებთან, ბიძა-მამიდასთან, ბებო-პაპებთან ერთად.

ვუსურვებ ხანგრძლივ, ბედნიერ ცხოვრებას გამთლიანებულ და გაბრწყინებულ საქართველოში.

ნოდარი პაპა.

შ.პ.ს. “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. “ჰაიდელბეhგცემენტჯოhჯიას” ჯასპის ცემენტის ქახხანა აცხაღებს ვაჯანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1. hონოდების გამგოhებელი (ჯავთისხევის ჯიhქვის ჯაhიეhი).

გთხოვთ, წაhმოადგინოთ თქვენი hეზიუმე ადამიანუhი hესუhსების მახთვის დეპაhტამენტში ა/წლის 5 ივნისამდე შემდეგ მისამახთზე:

ქ. ჯასპი, ფაhნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge



80 წელი თქვენს გვერდით

გამოიწერეთ
„ახალი განთიადი„!

80 წელი თქვენს გვერდით

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76